

72 /
87 / 2

ISSN 0182-5965



1987 ՈՅՆՈՒՆ № 6

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԿՈՄՍՏԻՆՈՎՍԿԻ
ԿՈՆԿՈՐԴԱՏԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ავთანდილ გურგენიძე

პატარავის სურვილი

იშრიაღონ ტყეებმა,
იბიბინოს მინდორმა,
იუოს ქვეყნად სიცოცხლე,
იუოს მზე და მშვიდობა.

სულ მზე თუ არ იქნება,
ხან წვიმდეს და ხან თოვდეს,
ოღონდ შვილებს დედების
სიუვარული გვათბობდეს.



თუთა

აი, იქ, სახლის წინ, ახლა რკინის გარაჟი რომ ჩაუდგამთ, დიდი თუთა ედგა ევა ბებიას. ისეთი მსხვილი ძირი ჰქონდა, სამ-ოთხ ბავშვს ვამოლილი ხელები რომ ჩაებათ, მაინც ვერ შემოსწვდებოდნენ. სხვა თუთებიც იდგა უბანში, მაგრამ ევა ბებიას თუთა სულ სხვა რამ იყო, ტკბილი, სათვალის. მალ-მალე კაფავდნენ, რომ მუდამ ნორჩი, სივისივა ყოფილიყო. ამიტომ გრილოც კარგი ჰქონდა და თუთასაც მსხვილს ისხამდა.

სამგრად იწეოდა, ჯერ თეთრად აგობდებოდა, ცერის სიმსხო ვახდებოდა, მერე ვარდის ფერს დაიკრავდა. ვარდისფერიც კარგი იყო, მაგრამ ევა ბებია არც თვითონ გაუსინჯავდა გემოს, არც სხვას ახლებინებდა ხელს. როცა თუთა კარგა ლაზათიანად ჩამრეშდებოდა, მხოლოდ მაშინ ეტყოდა მეზობლის პატარა გოგონას: „ანიკო, დათოს დაუძახე, შვილო, ევა ბებიამ — თუთა დავაქანოთ-თქო, ეხლა სკოლიდან უკვე მოსული იქნება“.

ანიკო იმწუთსავე გაიქცეოდა, დათოს დაუძახებდა, მერე სხვა ბავშვებსაც ეტყოდა: „წამოდი, ევა ბებიამ თუთა უნდა დაარჩიოსო“. ისინიც ერთბაშად მოხროვდებოდნენ, პატარებს დიდებიც მოჰყვებოდნენ და ჟივილ-ხივილით ივსებოდა ევა ბებიას ლამაზი ეზო-ყურე.

დათო ფეხთ დაიხდიდა, თუთის ძირზე მიყუდებულ მაღალ კიბეს აირბენდა და ზედ კენწეროზე მოექცეოდა. ევა ბებია სახლიდან ძველ, სუფთა სუფრას ვამოიტანდა, ვამოიდნენ, ოთხივე კუთხეში ხელებს ჩაავლებდნენ და ტოტს უსისწვრებდნენ. დათო ერთ ღონიერ წიხლს დაჰკრავდა ტოტს, და თუთაც თქრიალს მოიღებდა სუფრაზე.

როცა დათო თითქმის ყველა ტოტს

დაარხევდა, სავსე სუფრას ეზოში მოხუჩრ ხუჩრებულ სუფთა ხასხასა მწვანეზე დადებდნენ.

ევა ბებია ჯერ თეფშით მოხუცებულ მეზობელს გაუფავანდა თუთას, ერთ სავსე ჯამს მეულუსაც შეუწახავდა, მერე კი დიდი და პატარა სუფრას გარშემო შემოუსხდებოდნენ. „უჰ, რა ტკბილია, რა გემრიელია“ — ამბობდნენ ალტაცებულები და შეექცეოდნენ.

თუთა მართლა გემრიელი იყო, თაფლივით დნებოდა პირში.

როცა ყველა დაოხდებოდა, სუფრაზე



მხატვარი ნანა პურულუღია

საქ. სსრ კ. შარქისის
სახ. საბ. კ. სსრ.
ბიბლიოთეკა



დარჩენილ თუთას ევა ბებია ღობიდან სა-
ურმე გზის პირას ქათმებს ვადაუბერტ-
ყავდა ხოლმე. მიცვივდებოდნენ დედლე-
ბი, მამლები, საიდანღაც ფრენა-ფრენით
მოჰყვებოდნენ ბელურები და დაქიმითუ-
ლები შეესეოდნენ თუთას.

„მადლობელი ვარ, ევა ძალო, მადლო-
ბელი“, — იტყოდნენ დიდები და წავი-
დოდნენ. პატარებაც გაიქცეოდნენ სათა-
მაშოდ. მარტო კენკვაში გართული ქათმე-
ბი და ბელურები რჩებოდნენ დიდ ხანს
ღობის ძირას.

ის თუთა ახლა აღარ არის. ომის დროს
შესცივდათ და მოჭრეს. აღარც ევა ბებიაა
ცოცხალი, არავის აღარ ეძახის: „მობრ-

ძანდით, თუთა დავარხითო“. მღუმაღუმა
ჩამდგარა მის ეზოში. მხოლოდ იქვე, სა-
ურმე გზაზე ხშირად ისმის ამვლელ-ჩამე-
ლელის ხმა: „რა თუთა იდგა, რა თუთა!
ტკბილი, ბარაქიანი! ღმერთმა დასწყევ-
ლოს ომის მოგონი, თორემ მოსაჭრელად
ვინ გაიმეტებდაო“. ამ სიტყვების გამგონე
გზის პირას მოთამაშე ბალებიც ერთმა-
ნეთს სინანულით ეუბნებიან: „იცი, წი-
ნათ აქ, სადაც გარაჟია, რა დიდი თუთა
მდგარა? ისეთი ტკბილი ყოფილა, ისეთი,
რომ მეტი აღარ შეიძლება“.

ასეა თურმე, თუკი ხესაც, ადამიანი-
ვით, სხვებისაგან გამორჩევით სასიკეთო
რამ გააჩნია, არც იმას ივიწყებს ხალხი.


ბიჭები

იმილი ჯახუა

მეგობრისაგან მეგობარს
სულ ცოტა რამეც ეყოფა —
გულთბილი „დილაშვიდობის“,
საღმის ღიმილით შექობა.
მეგობრის გამნაწყენებელს
თავი არ გამოგვეყოფა,
კაცი ის არის, მეგობარს
ვინც ღვიძლ ძმისავით ეწერობა.
ვთქვათ, ვინმე შარის მკებნეული
წინ ეინჩად გადაგედობა,
შენთან გაჩნდება უძალვე,
ვინც კი სიმათლეს ემხრობა.
ბუხს ვერ ავიფრენს ვერავინ,
თუ ერთგულ კაცად ითვლები,
აღალ და გულად ბიჭებთან
ფიცვერცხლით დავძობილდები.
უსამართლობის წინაშე

მხატვარი ლალი ლომთაძე

ერთად რომ ავიმართებით,
წინ დევიც ვერ დავვიდგება,
რადგან ვიქნებით მართლები.
ამჟამებიან რამდენჯერ
მეც უოჩი ჩხუბისთავები,
ვიფრინეთ, გავისარია,
ვით არწივებმა ყვაუები.
მარტოკაცს რისი გული აქვს,
უმეგობროა ლანარი,
მქონდა მეგობრის იმედი,
ეს იმედაა, რაც არი.
ჩხუბისთავებშიც არიან
ბიჭები, დასტურ, საქები,
არ უეკართ იმათ ლანრები
და მათი ამხანაგები.
თუ დახვდი, როგორც ჯერ არს და
გულიც აჩვენე ვაჟური,



იცინან, გაგინხარია,
მათ მეგობრობაც სამური.
ან შენ აჯობებ, ან იგი,
ეს ზომ არ არის მთავარი,
მთავარია, რომ იწრთობა
კაცის გული და ჯავარი.
ქვეყნისთვის რის მატჩისია
დონდლო და მუცელდემურები,
„დედიკოს ბიჭებს“ შედმეტად
თავს ევლებიან დედები.
ხეზრე და თავცარიელიც
არა მწამს კაცი კაცადი,
ბიჭი მწამს ზრდილი, ნაკითხი,
სწავლაშიც, დასტურ, ნაცადი.
მაგრამ ამასთან მევირცხლი და
პრომაშიც მსხე და ამტანი,
წვალშიაც მკლავმოუღლედი,
ფეხბურთშიც გოლის გამტანი.
სირბილშიც — მარდი ავაზა,



სტომაშიც — ვეფხვი, აფთარი,
ცხენზეც — მხედარი ამაყი,
თვით ტარიელის სადარი.
ფალავნობაშიც ნაქები
ქართული ილეთ-ფანდებით,
უშიშო, შეუწავარი,
მეტოქის ბეჭზე დამდები.
როცა აქვს სხვისი დაცვისა
და თავის დაცვის უნარიც,
მაშინ რაც გინდათ, ისა თქვით
— ბიჭს რა აქვს დასაწუნარი?!
ამგვარ ბიჭების იმედით,
ამგვარ ბიჭებსე დანდობით,
ამეოზს საქართველო და
ამოდის ცაზე მნათობი.
ეველას, სადაც და ვინც არის,
ვიცნობთ საქვეწო ლელოში,
დემერთო, ასეთი ბიჭები
გვიმრავლე საქართველოში!



მე შენ გნახე, ნათიავ, როგორი წივილ-კივილი ატეხე, როდესაც შენმა საყვარელმა დედიკომ გაურტყხავი ყურძენი არ გაჭამა. მან ვითხრა, რომ მტირალა გოგონები ცული გოგონები არიან; რომ გაურტყხავი ხილი ავად გაგხდიდა. მაგრამ შენ არ დაუჭერე და მინც ტირილი.

მე შენ გნახე, ნათიავ, როდესაც შენი დედიკო მალაზიაში წავიდა და დაგიბარა, ქუჩაში არ გამოსულიყავი, ქუჩაში, სადაც უთვალავი მანქანები აქეთ-იქით დიდი სიჩქარით დარბიან. შენ არ დაუჭერე, გამოხვედი გარეთ და კინალამ ავტომობილი დაგეჭახა.

მე შენ გნახე, ნათიავ, როდესაც ტროლეიბუსში აპყავდი დედას. შენ გაჩიუტდი, უარყავი დედის დახმარება, თვითონ მიინდომე ასვლა. დედამ არ გაგიშვა, რადგან მარტო ასვლას ვერ შეძლებდი. მაშინ შენ დაწექი, აღრიადი და ხელ-ფეხის სხმარტალი ატეხე. ტროლეიბუსის წამყვანმა ვერ შეგამჩნია დროზე. კინალამ ვებერთელა რეზინის თვლები ზედ შეგაყენა და გაგასრისა.

შენ ხშირად არ უჯონებ დედას!

და მე მოგიყვები ნამდვილ ამბავს, თუ რა დამეართა პატარა მიამუნ კოკოს, როდესაც მან თავის საყვარელ დედიკოს არ დაუჭერა:

შორეულ ქვეყანაში, თვალწვდენელ ზღვებსა და მთებს იქით, ტყეში ცხოვრობდა კოკო. ტყე დიდი იყო, ათასნაირი ხეებით საესე. ხეებს გემრიელი ხილი ესხა. ტყეს გვერდზე პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა ჩაუდიოდა. აქ დაიბადა და გაიზარდა კოკო. დახტოდა ციყვებთან და ლამაზ ყვავილებს ეძებდა ბუბლებთან ერთად. მხოლოდ ზღარბს არ ეკარებოდა ახლოს, — ზღარბს, რომელსაც ხშირი და გრძელი ეკლები ასხია ტანზე.

დედას უყვარდა კოკო და კოკოსაც უყვარდა დედა. მაგრამ ჩიუტი იყო კოკო და ხშირად დედიკოს არ უჯონებდა.

დედა არიებდა, რომ მორიდებოდა სათვალთან ვეღს, რომელიც ავი და ყველა გველზე შხამინია, არიებდა, რომ არასოდეს არ ეთამაშა მასთან ბურთი.

კოკომ არ დაიჯერა დედის დარიებება და წავიდა სათვალთან გველის საქებნელად, რათა მასთან ბურთი ეთამაშა.

მზეზე გასათობად წამოწოლილი იპოვა კო-

კომ სათვალთან გველი და სთხოვა, ბურთი ეთამაშათ.

სათვალთან გველი დათანხმდა.

დიდხანს თამაშობდნენ გველი და კოკო. ბოლოს თამაშში ბურთი მოხვდა სათვალეს და ერთი თვალი გატეხა. გაბრაზდა სათვალთან გველი, დაჰკრა კული და გახეთქა ბურთი. ბურთი საზამთრო გამოდგა. მიადგა სათვალთან გველი და შეჰკამა. მწარედ ატირდა კოკო და ჰვა ესროლა. მაშინ სათვალთან გველი შემოეგრაგნა კოკოს და ალბათ დაებნდა საბრალოს, რომ საიდანაც მოულოდნელად ზღარბი არ დასცემოდა თავზე, ზღარბი, რომელსაც ხშირი და გრძელი ეკლები ასხია ტანზე. სათვალთან გველი მოეშვა კოკოს და ზღარბს გაუძარტა ბრძოლა. გველს ჩხვლეტდა ხშირი და გრძელი ეკლები, როდესაც ცდილობდა ტანზე შემოხვეოდა ზღარბს. ბოლოს, რაკი დაატყო, რომ ვერაფერს დააკლებდა, გაიპარა და ხშირ ბალახებში დაიშალა სათვალთან გველი, რომელიც ავი და ყველაზე შხამინია.

კოკო გადაჩრა დაკებნასა და სიკვდილს, მაგრამ მინც ჩიუტი და გაუგონარი დარჩა. დედა ეუბნებოდა, რომ იმ დიდ ხეზე არ ასულიყო, რომელიც ცას სწვდებოდა წვერით, რომელზედაც ვაზი იყო შემოხვეული და რომელსაც მწიფე, ტკბილი ყურძენი ესხა.

— მამა დაგიტყვეს ყურძენს და თვითონ მოგიტანს. იქ კრაზანები ცხოვრობენ, რომლებიც ძლიერ ბრაზიანები არიან და გრძელი, შხამინი ნესტარი აქვთ.

არ დაიჯერა კოკომ დედის დარიებება და მინც მარტო წავიდა ყურძენის საქმელად.

მივიდა ტყეში და იმ დიდ ხეზე ავიდა, რომელიც ცას სწვდებოდა წვერით, რომელზეც ვაზი იყო შემოხვეული და რომელსაც მწიფე, ტკბილი ყურძენი ესხა.

კოკოს ძალიან ესიაშოვნა ხის კენწეროზე ასვლა. იქიდან მშვენივრად ჩანდა ჭრელკაბა პეპლებითა და ყვავილებით საესე ველ-მინდვრები, მდინარისპირა ჭალები და ჭალაზე მიმდინარე პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა.

კოკოს ეგემრიელა ყურძენი და ხარბად დაუწყო ჰკამა. ბოლოს იქამდე გათამამდა, რომ ის მტყვანიც მოწყვიტა, რომელზედაც კრაზანების ბუდე იყო.

გაჯავრდნენ კრაზანები, რადგან კოკომ მათ

სახლის ერთი კედელი დაუნგრია, წამოიშალნენ და დაესივნენ პატარა, ჭიუტ კოკოს. ისე დაკბინეს, რომ ტკივილებისაგან აღრიალებულს ხელები გაეშვა ტოტზე. კოკო ხიდან ძირს ჩამოვარდა და იქვე მდგარ პატარა ბუჩქს რომ არ დაეჭირა, უშკველად მოიტეხდა რამეს.

ატირებული, დაკბენილი და სახედასიებული ძლივს მივიდა სახლამდე.

დედა მაშინვე მიხვდა, რომ კოკო იმ ხეზე ასულიყო, რომელიც ცას სწვდებოდა წვერით, რომელზედაც ვაზი იყო შემოხვეული და რომელსაც მწიფე, ტყბილი ყურძენი ესხა. იქ კი კრაზანები ცხოვრობდნენ, რომლებიც ბრაზიანები არიან და გრძელი, შხამიანი ნესტარი აქვთ.

დედამ კოკოს დასიებულ-დაკბენილ სახეზე პალმის ფოთლის კომპრესები დაადო და შეუხვია.

დიდხანს ეწვოდა კოკოს დაკბენილი სახე და დიდხანს არ მოურჩა. ბოლოს დაუამდა ტკივილები და სახეც ისეთი გაუხდა, როგორიც დაკბენამდე ჰქონდა.

მაინც ჭიუტი დარჩა კოკო!

ერთხელ ცა ძლიერ მოიღურბლა. გაიელვა, დაიჭექა და დიდი წვიმა მოვიდა, ადიდდა და ტალახისფრად აიმღვრა პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაჟა, ლუკაჟა, რომელიც გვერდით ჩაუდრიოდა იმ ტყეს, სადაც ცხოვრობდა კოკო.

კოკო დახტოდა სიხარულით და სახამთროს ქერქებს ისროდა შიგ. ქერქებს ტალახისფრად ამღვრეული ლუკაჟა ნაგებივით მიაქანებდა ქვევით, სულ ქვევით, ლურჯი ზღვებისაყენ, სადაც წყალი ძლიერ ღრმდა და უამრავი თევზი ცხოვრობს.

კოკომ ბევრი სახამთროს ქერქი ჩაყარა შიგ და ბოლოს გადაწყვიტა თვითონაც ეხანავა.

ბევრი უშმალა დედამ, რომ არ ეხანავა, რადგან პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაჟა ახლა დიდი და ტალახისფრად ამღვრეული იყო.

და, რადგან კოკო ჭიუტი იყო, არ დაუჭერდა დედას, გაეპარა და დაიწყო ბანაობა ადიდებულ მდინარეში.

დიდხანს ბანაობდა კოკო ლუკაჟაში.

არ მოეწონა ადიდებულ ლუკაჟას, რომ პატარა კოკო მას სასაცილოდ იგდებდა. გაბრაზდა და უთხრა, რომ საჩქაროდ დაეტოვებინა წყალი, თორემ ეტყოდა ტალღებს და ტალღებიც წაიყვანდნენ პატარა კოკოს და იქ დაახრჩობდნენ, სადაც ავი, შავი მორევი ტრიალებდა ყვითელ, ტიტველ კლდეებთან.

არ დაუჭერა კოკომ ლუკაჟას, რადგანაც ჭიუტი იყო.

მაშინ გაბრაზებულმა, ადიდებულმა და ტალახისფრად ამღვრეულმა ლუკაჟამ, რომელიც აქამდე პატარა და ლურჯი იყო, უთხრა ტალღებს, რომ კოკო ავსა და შავ მორევეთან მიეყვანათ ყვითელ, ტიტველ კლდეებთან.

ტალღებმა წაიყვანეს კოკო.

შეშინებულმა კოკომ სთხოვა ნაპირზე გადმოსხრილ პატარა ტირიფს, დახმარებოდა. კეთილმა ტირიფმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ტალღებმა ტირიფიც მოგლიჯეს ძირიანად და კოკოსთან ერთად წაიყვანეს იქით, სადაც ავი, შავი მორევი ტრიალებდა.

ბევრი ეცადა კოკო დასხლტომოდა ტალღებს, მაგრამ დაიღალა, დაიქანცა და ვერ დაუსხლტა.

და, როდესაც ყვითელ, ტიტველ კლდეებთან მიიყვანეს ტალღებმა, ავმა, შავმა მორევემა პირი დაალო და ჩაყლაპა ჭიუტი პატარა კოკო.

დიდხანს იღვა ყვითელ, ტიტველ კლდეებთან კოკოს დედა, ეძახდა თავის საყვარელ შვილს — კოკოს, მაგრამ იგი ვერასოდეს ვეღარ მოვა, გესმის, ნათიავ, ვერასოდეს ვერ მოვა, რადგან ჭიუტი იყო, რადგანაც იგი ადიდებული ლუკაჟას ავმა, შავმა მორევემა ჩაყლაპა, იმ ლუკაჟას მორევემა, რომელიც გვერდით ჩაუდრის ტყეს, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა პატარა კოკო.



სანდრო მოწყენილია

მიხაილ კალინინიძე



მსატყარი შაბა ხუციშვილი

სანდრო გაცივდა და დედამ ლოგინში ჩააყენა. ახლა კარგად არის, მაგრამ ექიმმა დედას უთხრა: ჭერჭერობით შინ იჯდეს, ვარეთ ნუ გაუშვებთო... ცუდ გუნებაზეა სანდრო. ხან წიგნს ვადაფურცლავს და მიაგულებს, ხან ბურთის გაკაპრას ფეხს და ტახტის ქვეშ შეაგორებს, ხან ფანჯარასთან აიტუნება და დვას თავისთვის. არ იოც, რა ქნას! ბოლოს სავარძელში მოკალათდა. იჯდა, სანამ ფეხი არ დაუბუქდა. „არიქა, ფეხში ფუტკარი მიბზუილია!“ — დაიყვირა და შეშინებული წამოვარდა. სამზარეულოდან დედამ გამოიხედა.

— რა იყო, შვილო?
სანდრო ხმას არ იღებს, ფეხს იხელავს და იბღვირება.

— დამიანო, ბავშვი დილიდან ცხვირჩამოშვებულია, ავადმყოფობამ ხომ არ შეუქცია? — ეკითხება მამას დედა.

— მოწყენილია. — ამშვიდებს მამა. — ნუ მივაქცევთ ყურადღებას, გაუვლის. სანდრომ გაიფიქრა მამის ნათქვამი.

„მოწყენილია?... მაშ, ისევ ავად ვყოფილვარ. ლოგინში რომ ვიწეკი და სიცხე მქონდა, მაშინაც ასე ამბობდა მამა: გაუვლისო...“

სანდრომ ისევ ფანჯარაში გაიხედა. ეზოში ოთარი დაინახა: მოკაუჭებული მავთულით ყვავილნარის ირგვლივ რკინის სალტეს დააგორებდა. ოთარმა, თითქოს მიხვდა, რომ მას უყურებდნენ, ზვეით აიხედა. სანდრომ ხელით ანიშნა: „ამოდიო!“

— მე ავად ვარ. — უცმაყოფილო სახით განუცხადა სანდრომ ოთარში შემოსულ მეგობარს. — შენ კი, ვითომც არაფერი, დარბიხარ და მაგ სულელურ სალტეს დააგორებ! ეს არი მეგობრობა?
— სიცხე გაქვს? — ჰკითხა ოთარმა.

— მოწყენილი ვარ.
— რაო?
— მოწყენილი ვარ, არ გვისმის? განა არ გაგვიცა ასეთი ავადმყოფობა?
— გტყივა რამე?
— არა.

— აბა, თუ არაფერი გტყივა, ავად არ ყოფილხარ. როცა ავად ხარ, რამე უნდა გტყიოდეს. სანდრო დაიბნა, ცოტა დაფიქრდა და მერე თქვა:

— მე... აი, ნახე... ცხვირი ჩამოშვებული მაქვს...
— და სანდრომ ცხვირზე მოისვა ხელი. ოთარს გაეცინა:
— ჩამოშვებული არა...
— თულო გახილი, ვერ ხედავ! — გული მოუვიდა სანდროს და სარკესთან მივიდა. ცხვირი თავის ადგილზე იყო, არც გრძელი ჩანდა და არც ჩამოშვებული.

სამზარეულოდან ისევ დედამ გამოიხედა.
— ოთარ, შვილო, სანდრო მოწყენილია, ითამაშეთ რამე, გაერთობით. ოთარმა კეფა მოიფხანა.
— რა ვითამაშოთ?
— ვერ გაიგე, რა თქვა, „მოწყენილიაო“. შენც უნდა „მოწყენიო“ ჩემთან ერთად. აბა, რის მეგობარი ხარ!

— როგორ?
— როგორ და, რასაც მე გავაკეთებ, შენც ის გააკეთე. აბა, მიუყურ!

სანდრომ კოპები შეიყრა, ზურგზე ხელები შეპოიწყო და ოთარში გაიარ-გამოიარა. ოთარმაც უგივე გააკეთა. ბავშვებმა შეხედეს ერთმანეთს და გაეღიმათ. მერე სანდრომ წიგნი აიღო, გადაფურცლა და ვანზე ისროლა. ოთარმაც წიგნი აიღო, გადაფურცლა, მაგრამ კი არ გადაავლო, ფრთხილად მიაიღიდა დალო, წიგნის გადავლება არ იქნებოდა... ამხუე ორივეს გაეცინა. მერე, როცა სანდრომ ბურთის ფეხი გაკაპრა, ოთარმა მოგერიბა ბურთი და ზუსტი დარტყმით სანდროს თავში მოახველა. ამხუე ორივემ გადაიხარხარა.

გამხიარულდნენ ბავშვები.
მერე სანდრომ თქვა:
— მოდი, მზიას დავუძახებო, იმანაც „მოიწყენოს“ ჩემთან ერთად.

მზია რომ მოვიდა, ბავშვებმა ისეთი აურზაური ატეხეს, დამლა სართულიდან მეზობელი ამოვიდა და დედას შესჩივლა: გააჩერეთ ეგ გადარეულები, თორემ ჭერი ჩამომენგრევია...

ასე მხიარულად „მოიწყენეს“ სანდრომ, ოთარმა და მზიამ.
კარგი ყოფილა „მოწყენილობა“, როცა მარტო აარ ხარ, როცა მეგობრები გახვევია!

ორი პაპრო

შალვა შავლუნგვილი

ნანას შაქროს ემხიან,
შვილიშვილსაც — შაქროს,
პეპე არის მითი სხელიც,
ჩვენი სხლის ახლოს.
ტუშინ ნანამ შვილიშვილი
ტრულ სურჯინში ჩასვა
და ვენახში სასეღარით
მოისურვეს ჩასვლა.
ერთ სურჯინში ბიჭი იჯდა,
მეორეში ციბა —

ნატრონივით სასაცილო,
ლემკვი ერთი ციდა!
გზა გალიეს მხიარულად,
დიდებდნენ ორნი,
ვენახშიაც სომ ჩაბრძანდნენ,
მეგრამ დასეთ ოინს,
ლემკვი ჰამ-ჰამ, ეუფა-ეუფით
მკლავ ავარდა სერზე
— სდა არისო ჩემი ლემკვი, —
ბიჭი წუნს და ემებს.



შალვაჯა ოგოლაშვილი

პაპა

საქერავი მანქანა
შეიძინა მაკამ,
ახლა ზის და უკერავს
დედოფალს კაბას.
თარკი კონტად გამოჭრა,
ავგირისტებს სწრაფად,
ციცქნა გოგო კერვაში
მღიერ გაციწავა.



ამბროსი ლონაძე


თამარ ავალიანი


პატარა მუშა

მუშავაცის იერთ,
თოხით, დილაღრიან
მიანიუებს ივერი,
ბაღში შრომა სწავია...
მხარზე — აბჯ საუხმით
და წელთ საფე მათარ,
მოიმღერის ტკბილი ხმით,
მოდის მუშა ნატარა.

წიგნი

წივნი ცოდნის ღამხარია,
მიხვან ვსწავლობთ გატაცებით,
მისი მუქით ვმადღებთ და
მისი მუქით ვვატყვადლებთ.
ფურცლებიდან ოქრო წამთავს,
გაუმღია ღაღად ფრთები,
ხან აუჯვის ლექსით გპატებობს,
ხან ილიას მოთხრობებით.






30 წელზე მეტია, ქართველმა პატარებმა გაიცნეს შეიყვარეს მწერალ არჩილ სულაკაურის საბავშვო ნაწარმოებები, განსაკუთრებით კი ზღაპარი „სალამურას თავდასავალი“, რომლისთვისაც ავტორს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

ვისაც არ წაგივითხავთ, უსათუოდ წაიკითხეთ „სალამურა“ და „ჯადოსნური კაბა“, მოთხრობები „ბიჭი და ძაღლი“ და „ლუკა“, კიდევ — „ნუ ვათარღები“ და სხვა ლექსები... ისინი თქვენი გულების ყველაზე კეთილ და ფაქიზ სიმებს შეეხებიან, ყველაზე ძვირფას გრძნობებს გაგიღვიძებენ, ბევრ რამეზე ახალზეც თვალს ავიხელენ...

დიდი ამაგი დასდო არჩილ სულაკაურმა საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმესაც — ეს იმ წლებში, როცა იგი გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად მუშაობდა.

თვენბა ბაჭიების თავდასავალი, რომელსაც „დილის“ ახლანდელ მკითხველებს ვთავაზობთ, პირველად იმ დროს დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში, როცა მას დღევანდელი პატარების მშობლები — მაშინდელი პატარები კითხულობდნენ, და დასურათებული იყო ცნობილი ქართველი საბავშვო მხატვრის იოსებ გაბაშვილის აი ამ ნახატებით...



გულთეთრას ჰყავდა ორი ბაჭია,
ორივე იყო მეტად პაწია,
უვლიდა, შვილებს ღამეს უთევდა,
მზრუნველი დედა იყო გულთეთრა.
ამ ბაჭიების საყვარელ მამას
მგელმა მზიანი დღე დაუღამა.
დედას ახსოვდა დღეები მწარე
და არ უშვებდა ბაჭიებს გარეთ.

...

გაიარა დრომ,
ახმაურდნენ ბაჭიები:
— აღარა ვართ ხომ

ახლა უკვე პაწიები?
და მიმართავს დედას
ერთ საღამოს მარდო:
— თუნდაც ვნახო მგელი,
შევებმები მარტო. —
ვაჟაკია ვითომ,
ისე უსმენს ცქვიტო.
მაგრამ დედა ფრთხილობს:
— არ გაბედო, შვილო,
ტყეში წასვლა მარტო.
იქ მგელია ავი
და ხახა აქვს ფართო,

ღამესავით შავი...
მარდო განა უხმენს,
ტყეს ფანჯრიდან უმზერს.

...

დილით ადრე ადგა მარდო,
ძმასთან ფრთხილად მივიდა.
— გინდა, ძმაო, ახლა მარდაღ
გავიპაროთ შინიდან? —
ფიქრი არც კი დასჭირდათ,
გაღიპარნენ ფანჯრიდან.

...

მიდიან და მიდიან,
ტყე კი შეტად დიღია...
ითამაშეს ბევრი...
მთლად აიკლეს ტყვრი.
ჭამეს მარწყვი მწიფე,
სოკოები კრიფეს.
ხტიან მთელი დღე,
რა კარგია ტყე!



გაღაწყვიტეს ძმებმა
მგლის ლეკვებთან შებმა.
ისე დასცხო ცქვიტომ,
გაუყვირდა თვითონ.

...

ამ დროს მოესმათ ღრიალი
ძლიერი, ომახიანი.
სახლში რომ მორბის — მგელია,
ლაშები სისხლით სველი აქვს...

...

გარბის ცქვიტო, მისდევს ბილიკს,
ვაჰმე, მგელმა გაჰკრა კბილი...
თუმცა ცქვიტო რის ცქვიტოა,
თუ მოხვდება მგლის ხახაში!
მგელი განზე დაიტოვა,
გადაეშვა დაბლა ხრამში.



...

ტყეში სახლი ნახეს
მარტოდმარტო მდგარი,
გაუბრწყინდათ სახე,
გამოაღეს კარი.
მარდო შედის ცეკვით
და მგლის ორი ლეკვი
უბრიალებს თვალებს.
მარდო ყვირის: ცქვიტო,
აქეთ მოდი მალე! —
ვაჟკაცია ვითომ,
ისე შერბის ცქვიტო.



მარდო მიჰქრის მარდად,
 დამშობილდა ქართან.
 ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!
 ოფლად გაიღვარა...
 ხის ფულუროს ამჩნევს,
 შიგ შეძრომას არჩევს.
 მორბის მგელი მისკენ,
 პირი სტაცოს, დროა!
 მაგრამ მარდო არ ჩანს
 მხოლოდ ფულუროა!



ცქვიტო შინისკენ კოჭლობით მოდის,
 ყვარჯენი აქვს ტირიფის ტოტის.
 — მარდო სად არის, სად არის მარდო?
 — მარდო ტყეშია სულ მარტოდმარტო.
 რაც მოხდა, ცქვიტომ უამბო დედას,
 მარდოს საქებნად წავიდნენ ერთად.

ეჰ, ტყე მეტად დიდი,
 მიდიან და მიდიან,
 მარდო როგორ მონახონ,
 ტყე ხომ მეტად დიდი!
 ეს რა არის? — ბეწვია!



მწუხარება ეწვიათ:
 დააკვირდა გულთეთრა,
 ეს ხომ მარდოს ბეწვია?!
 მგელი ავზე ავია,
 მარდო შეუჭამია?

ფულუროდან ამ დროს
 იხედება მარდო.
 — ცოცხალი ვარ, დედა,
 ნუთუ ვერა მხედავ! —

გამოხტება უცებ,
 დაუკოცნის ყელს.
 ცქვიტო ცრემლებს იწმენდს,
 მიეყრდნობა ხეს.

ეუბნება დედას მარდო:
 — ფულუროში ვიჭექ მარტო
 შიგ შემოჰყო მგელმა ცხვირი,
 გამოუჩნდა ხახა ფართო.
 ამ დროს მართლა გავიგონე,
 მგლის ღრიალმა შესძრა მიწა,
 ერთხელ შეხტა, გადაბრუნდა,
 აქვე ხის ქვეშ უხმოდ მიწვა.
 გავიხედე გარეთ მალვით,
 მონადირეს მოვკარ თვალი.
 გადაედო მხარზე მგელი,
 მიდიოდა გზაზე მღერიო.

ვიწრო ბილიკზე გულთეთრა მიდის,
 მარდო და ცქვიტო მისდევენ რიდით.
 — კიდევ გაბედავთ, ცქვიტო და მარდო,
 მთაში გაპარვას და წასვლას მარტო?
 — ჩვენ აღარ წავალთ, დედიკო, არა, —
 მარდო და ცქვიტო ამბობენ წყნარად.



პარლემ კომპარტი

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ჭერ პატარა თამრიკო — ისევ საბავშვო ბაღში დადის — წელიწადიც გავა და დიდი გოგო იქნება — უკვე სკოლაში ივლის.

ახლა კვირადღეა. თამრიკოს დედა და ორივე დაიკო ბაზარში წავიდნენ, ხილი უნდა იყიდონ და კიდევ — ყვავილები. შინ მარტო მამაა, ტახტზე წამოწოლილა და წიგნს კითხულობს. იმ წიგნში არც ზღაპარებია, არც ნახატები — ძნელია ასეთი წიგნის წაკითხვა.

ტელევიზორის ჩართვა უნდოდა თამრიკოს, იქნებ ნახატ ფილმებს აჩვენებენო, მაგრამ გადაიფიქრა — როცა წიგნს კითხულობს მამა, ძალიან, ძალიან ეჭაფრება თამრიკოს ჩართვა.

ხან აივანზე გავიდა თამრიკო, ხან ნახატებიანი უფროსი გადაფურცლა, ხანაც იმაზე ფიქრობდა, ნეტავ როდის ჩამოვა სოფლელი ბებიარო. მერე კარდის უჭრა გამოალა და სქელი, საოჯახო აღბომები ამოალაგა, დაკვირვებით ათვალაირებდა ფოტოსურათებს. იმ სურათებში უფროსი გაღიმებული ხალხი ჩანდა. ვისაც იცნობდა, თვითონაც უღიმოდა, ვისაც არ იცნობდა, თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე, ნეტა ვის უღიმიანო. არადა, ყველანი თამრიკოს უღიმოდნენ. ის-ის იყო, პირველი სქელი აღბომი უნდა დაეხურა და ახლა მეორე გადაეშალა, რომ გადამბრუნებულ სურათი დაინახა. გადმოაბრუნა, დახედა და მაშინვე შეიკრა შუბლი. უყურებს სურათს, უყურებს და თვალს არ უჭერებს! აიღო სურათი და მამასთან მივიდა:

— მამი.

მამა წიგნის კითხვით იყო გართული და არც თამრიკოს მიახლოება გაუგია, არც მისი ხმა გაუგონა.

— მამი! — ხმას მოუმატა თამრიკომ.

მაგრამ ვერც ახლა გაიგონა მამამ. მაშინ კი ატირდა თამრიკო და მთელი ხმით იყვირა:

— მამი!

მამამ თვალი მოაცილა წიგნს და ატირებული თამრიკო რომ დაინახა, შეშინებული წამოხტა:

— რა მოხდა, შვილო?!

თამრიკომ სლუკუნით მიაწოდა სურათი:

— მე რატომ არა ვარ ამ სურათში?!

მამამ სურათი გამოართვა, დახედა: მიწის კოკლაზე წის, აქეთ-იქით თავისი უფროსი გოგონები ამოუყენებია და, ერთი-ორი დაჩვენათ, რა გულბანად იცინიან. მაშინ სახლს აშენებდა სოფელ-

ში, აკი სურათზედ ჩანს: მეორე სართულის ფანჯარები თითქმის ამოყვანილია. სახლის მშენებლობა ძალიან გაუჭიანურდა, მაგრამ ის უფრო აწუხებდა, მთელი ორი თვე რომ არ ენახა შვილები — იმერეთში წაიყვანა ქალაქელმა ბებია, აქ ხელის შეშლის მეტს რას გაგიკეთებენო. არადა, მათი უნახაობა უფრო უშლიდა ხელს — ერთთავად შვილებზედ დარდობდა. ველარ მოითმინა და დებეშა გაგზავნა იმერეთში, ხასწრაფოდ ჩამომიყვანეთ შვილებიო. ქალაქელმა ბებია ჩამოიყვანა. კარგად ახსოვს: საღამო ხანი იყო; ზედ მათ ევოსთან გაჩერდა თბილისიდან ამომავალი ავტობუსი. გაიხედა და რას ხედავს: ხელგებაშლილი გამორბიან გოგონები. ჭერ მამა შეეგებათ და მამას ჩაებუტნენ, მერე — დედა, მერე — იქაური ბებია. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ავტო ფოტოგრაფი. მამა სახლის საძირკველიდან ამოღებულ აკოკლავებულ მიწაზე დაჭდა, აქეთ-იქით თავისი გახარებული შვილები ამოიყენა და ასე გადაიღო სურათი.

დანადვლიანდა მამა — ვითომც არაფერი, ბევრ დროს კი გაუვლია მას აქეთ. ატირებულ თამრიკოს შეხედა და ღიმილით უთხრა:

— მშვენიერი სურათია!

— მე სად ვიყავი მაშინ? რატომ არა ვარ ამათთან?





მამას პატარა თამრიკო უჭირავს ხელში. ერთი წლისა იქნება. თამრიკოს ხვარტქლის ყვავილები ჩაუბლუჭავს და ეღიმება; მამასაც ეღიმება.

— მოგიყვანე შინ და ავთო ფოტოგრაფმაც თქვა, მოდი ახლა ამასთან გადაგიღებ სურათსო. მაშინვე გადაგიღო.

— ჩვენი სახლი რომ უკვე აშენებული ჩანს?! — დაეჭვდა თამრიკო.

— ვიდრე მოგიყვანდი, დამთავრდა კიდევაც. — ჩემი დები საღლა იყვნენ?

— ხვარტქლის ყვავილის სანახავად წაიყვანა იქაურმა ბებია, მე რაღა გავაკეთოო, — იმერელი ბებიაც გაჰყვა, დედაც. მე და შენ ასე დავრჩით მარტონი. ასე იყო.

თამრიკო აღარ ტარის — აივანზე გადის და დაბლა იხედება: გზის მეორე მხარეს პატარა-პატარა, შემოღობილი ბოსტნებია: ზოგს ცოცხალი ღობე აქვს შემოვლებული; ზოგს მესერი.

— იქ თუ იქნება ხვარტქლის ყვავილი? — თამრიკო ხელს იშვერს ბოსტნებისკენ.

— რამდენიც გინდა!

— წავიდეთ და დავკრიფოთ.

— ცოცხაა, მალე ჭკნება.

— მაშინ ვნახოთ. სულ აღარ მახსოვს, როგორ ყვავის ხვარტქლა.

— წავიდეთ, — ხელში აჰყავს მამას თამრიკო.

კარს რომ გაიკეტავს მამა, სოფელი ახსენდება, სოფელი და თავისი ახლადაშენებული სახლი; ძალიან, ძალიან ენატრება სოფელი, მაგრამ სულ სხვას ამბობს:

— ხვარტქლა ხვიარა ბალახია. ბუჩქი, ჭიგო ან ღობე თუ ნახა, მაშინვე მოხებვეა ხოლმე. ისე იზრდება, ისე იხუნძლება თეთრი ყვავილით. ძირში რომ მოწყვიტო ხვარტქლა, ის ერთი ცალიც გეყოფა თავზე დასადგმელ გვირგვინად. ხვარტქლის ყვავილი ღამაზია, ღამაზი, უკეთესს რას ნახავს თვალს, მაგრამ მალე ჭკნება.

— ცოცხაა ხვარტქლა, — ამბობს თამრიკო და მამას კისერზე ხვევს ხელს.

— ჰოდა, რაკი ცოცხაა, უნდა მოვეფეროთ.

— სადარბაზოდან რომ გადიან, კარის მეზობელი, ევა ბებია ხვდებათ:

— საით ამოგზაურებულხართ, ხალხნო?

— აგერ, ბაღჩებისკენ, — ეუბნება პასუხად მამა.

— მე მეგონა კონცერტი იყო საბავშვო ბაღში და იქით მიიჩქაროდით.

— არა, — ამბობს თამრიკო, — ბაღჩაში მივდივართ, ხვარტქლას უნდა მოვეფეროთ.

— ჰოო, — ჩაფიქრდა მამა, — შენ დააშავე და შენვე ტირი?

— მაშინდებთან რომ მიდიხართ, პატარა ხარო, ბებიასთან მტოვებთ. ორჯერ კინოში ვამეპარეთ, ორჯერ ცირკში, ნოდარ ძიასთანაც, ანზორ ძიასთანაც, სულ ასე ვამეპარებთ ხოლმე, პატარა ხარო.

— ეს სურათი რომ გადავიღეთ, ჭერ კიდევ არ იყავი ჩვენი. აი, როგორ იყო: ჩამოვიდნენ შენი დები იმერეთიდან, ავთო ფოტოგრაფმა სურათი გადაგიღო და ნუცა ბებიაშაც თქვა: გოგია ამბობდა, წელან ტყიდან რომ მოვიდიოდით...

— რომელი გოგია?

— ჩემი მეზობელი. ჰო, გოგია პაპა ამბობდა, წელან ტყიდან რომ მოვიდიოდი, ყვავილებით აფერადებულ მინდორში იმ ყვავილებივით მშვენიერი გოგონა დავინახე, ეტყობა, ჭერჭერობით არავისია, წამოყვანა მინდოდა, მაგრამ გოდრის წნელი მომქონდა და იმითმ ვეღარ წამოვიყვანეო.

გამოვიქეცი მინდორში, ვხედავ — შენა ხარ, ხვარტქლის ყვავილებს კრფდი. აგიყვანე, მოგვეფერე და ისე წამოგიყვანე, — მამა გვერდითა ოთახში გავიდა, ყველაზე უფრო სქელი ალბომი ნახა, გადაშალა და მასზე დაიწვიო ფოტოსურათს; — აი, დახედე.

პიპი პიპინამა

მენაგვე თავპი

ნავის ეუთის მკვიდრი —
 თავპი ნავავს ეიდის.
 უცნაური არის მეტად,
 ვეველა როგორ გამომტერდა!
 იმ ემპაეი თავვისსავან
 ვინ ეიდულობს, ნეტავ, ნავავს?
 — რაღად უნდა ამას კითხვა: —
 ხარბაბუხა, ჯდანა ვირთხა...
 — კიდევ სხვა ვინ?
 — ერანტა ვეავი,
 ტარაკანა,
 რუხი კრუხი.
 ქვეენად განა ვეველას ულხინს...
 თქვენ რომ ბრძანეთ,
 ევ თავვიც,
 კეთილია,
 სულ არ არის ემპაეი.
 პირიქით,
 იმის შემდეგ კატამ რაც დაპინა,
 თავში უქრის საპინლად.
 — უჰ, ნეტავი არ ვეთქვათ!
 — ნავავი გსურთ?
 — დიას...
 — აი, აქვე გვაქვს.
 — რა ღირს მერე?
 — ფუნის ერთი გაქეკვა.

მხატვარი მანანა შორილიამა



საქ. სსრკ. ე. შორილია
 სს.ს. რესპუბ.
 მ. ბლიოთე


„ქიქის“ სახამოვნო ქუჩები



თენგივ ვოგოლანიძე



ნინოკო ჯაფარიძე, 6 წ.



გეორგი ჯორჯიანი, 6 წ.



წიგნი

საპარტვილოს ალკა ცა-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რედაქციის საბავშვო ჟურნალის შემცროსკლასნელთათვის.

გამოცემის 1904 წლიდან საქ. კ. ც. ც. გამომცემლობა.

შთავარი რედაქტორი
ენვერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: იმუხარე ამგო-კაძე, მანანა ანთაძე, ლაშარა ბა-გაუა, მერი ლავითაშვილი, სოლომონ დემურაშვილი, ლილა პრატა, გელა ლოსაძერიძე, მამალა მრავლი-შვილი, ჯუჯა ნადირაძე, გიორგი რომიშვილი (სამბატრო რედაქტორი), თინათ ჯალაღანი (პ/მგ. მღვანე), გი-ვი ანელაძე, მარინე ხარაბიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მღვანე 98-10-82, 98-98-18; სახმ. რედაქტორის—98-98-18; განყოფილებე-ბის: 98-98-19; 98-98-17.

გადაეცა ასაწეობად 27.06.87წ., ხელმოწე-რილია დასაბეჭდად წ., ქალაქის ზომა 60x90/16, ფ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა №991

ულაზე ნახატი
იმუხარე ამგოკაძის

«Дида» («Втор») ежемесичный жур-нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Респубლიканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Лени-на для младшеклассников, на грузин-ском языке.

Отпечатано в типографии издатель-ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишара-дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №991

ქისარიითქუში

ვანო ჯაგანოშვილი

ვერაფერი დაბრკოლებს
ვერც შთა, ვერც ტუე, ვერც წუალი,
ძალე ჩემს აივანზე
დაიბუდებს


გიორგი შთივაკარი

სვლამ მელეღარე სვირთებს
დაჯახსა ნანაირს
და სვირთებზე თოვლისფრად
აქათქათდა

შპოცანი

ალექსი ხუციშვილი

არც თონხა უნდა, არც მარკვლა,
ბევრს აქვს ბუნების წუალობით,
სულ მკიან, მკიან და მანინც
დაუთესვად ამოდის.




შიპრის ქანღოვილი

თავსატახი

ბავშვებო! გეძლევათ ორი დავალება. ჯერ ერთი, ხელის აუღებლად დახაზეთ აი ეს ძალზე რთული ფიგურა. ისრებით მინიშნებულია, თუ საიდან და რა მიმართულებით უნდა დაიწყოთ და სად დაამთავროთ ხაზვა.

მეორე დავალება: დაითვალოთ, რამდენი გეომეტრიული ფიგურისგან შედგება ეს ნახაზი, რამდენი სამკუთხედია აქ (მათგან რამდენია მართკუთხა, რამდენი — მახვილკუთხა და რამდენი — ბლაგვკუთხა), რამდენი ოთხკუთხედია (სწორკუთხედი, კვადრატი), რამდენი რომბი, კუბი, ტრაპეცია, წრეხაზი, კონუსი, მრავალკუთხედი, ვარსკვლავი?



პატრონო საუბრაღებოდ!

სსრ კავშირის გამსახეომის კოლეგიის 1987 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ ჟურნალებში უნდა გამოვიყენოთ უფრო იოლად წასაკითხი და აღსაქმელი მსხვილი საბეჭდი შრიფტები. ამის შესაბამისად შემცირდება დასაბეჭდი მასალების ზომა.

ვთხოვთ ავტორებს, „დილაში“ გამოგზავნილი მასალები — მოთხრობა, ნარკვევი, წერილი არ აღემატებოდეს მანქანის ორ ინტერვალზე გადაბეჭდილ 3 გვერდს, ხოლო პოემა — 100 სტრიქონს.

ქუანალ „დილის“ რედაქცია

ე-001